N 04/1024
28.12.2023

ბრძანება

1024-01-4-202312281724

ფ/პ იოსებ თათარაშვილსა (პ/ნ) და შპს „შარმ ტრეიდინგს“ (ს/ნ 211397004) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლისა და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება ფ/პ იოსებ თათარაშვილსა (პ/ნ) და შპს „შარმ ტრეიდინგს“ (ს/ნ 211397004) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით;

2. ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით ფ/პ იოსებ თათარაშვილსა (პ/ნ) და შპს „შარმ ტრეიდინგს“ (ს/ნ 211397004) შორის განხორციელებული კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ პირებს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

ფ/პ იოსებ თათარაშვილსა (პ/ნ [redacted]) და შპს „შარმ ტრეიდინგს“ (ს/ნ 211397004) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების სააგენტოსათვის შეუტყობინებლობის შესაძლო ფაქტების გამოვლენისა და მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ 2023 წლის 28 სექტემბერს შპს „შარმ ტრეიდინგისა“ (ს/ნ 211397004) და ფ/პ იოსებ თათარაშვილის (პირადი N [redacted]) წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა ერთობლივი საწარმო - შპს „ეს ეიჩ კავკასია“ (ს/ნ 400370406). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში გადამოწმებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2023 წლის 28 სექტემბერს შპს „შარმ ტრეიდინგისა“ (ს/ნ 211397004) და ფ/პ იოსებ თათარაშვილის (პ/ნ [redacted]) მონაწილეობით ნამდვილად მოხდა ახალი სუბიექტის რეგისტრაცია და ეს ტრანზაქცია სავარაუდოდ, ექვემდებარებოდა სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას. კერძოდ, განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს წლიური ბრუნვის ნაწილში.[1]

შპს „შარმ ტრეიდინგისა“ (ს/ნ 211397004) და ფ/პ იოსებ თათარაშვილის (პ/ნ [redacted]) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნებასთან დაკავშირებით, 2023 წლის 03 ნოემბერს სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირების - შპს „შარმ ტრეიდინგისა“ და იოსებ თათარაშვილის - მინდობილ პირს მედეა სვანიშვილს (თანახმად მინდობილობებისა დამოწმებული ნოტარიუს ოთარ გოლოძის მიერ რეგ. N231666125 და რეგ. N231666106) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ეთხოვა პოზიციისა და წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.[2]

მხარეთა მინდობილი პირის განმარტებითა[3] და საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებული მონაცემების თანახმად, 2023 წლის 28 სექტემბერს შპს „შარმ ტრეიდინგისა“ (ს/ნ 211397004) და ფ/პ იოსებ თათარაშვილის (პ/ნ [redacted]) წილობრივი მონაწილეობით დარეგისტრირდა ახალი სუბიექტი. მხარეთა წარმომადგენელი სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე კონცენტრაციის განხორციელების მიზეზად მიუთითებდა, რომ კონცენტრაციის მხარეები არიან

---

[1] სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს. ამასთან, წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა წლიური ბრუნვის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ჯამური წლიური ბრუნვა: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

[2] სააგენტოს 2023 წლის 03 ნოემბრის N02/2977 წერილი.

[3] მედეა სვანიშვილის 2023 წლის 06 ნოემბრის წერილი - სააგენტოში რეგისტრაციის N 01/3770.

ურთიერთდამოკიდებული პირები და შესაბამისად, კონცენტრაცია ექცევა კანონით განსაზღვრულ გამონაკლისებში.[4]

სააგენტოში არ წარმოდგენილა სათანადო დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ განხორციელებული კონცენტრაცია ექცეოდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^2 მუხლით განსაზღვრულ გამონაკლისებში. შესაბამისად, სააგენტომ დაადგინა[5], რომ სახეზე არ იყო „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^2 მუხლით განსაზღვრული შეტყობინების სააგენტოსთვის წარმოდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლების არც ერთი კანონისმიერი წინაპირობა.

სააგენტოს მიერ დამუშავებული მონაცემებით დადგინდა, რომ განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის მდგომარეობით წლიური ბრუნვის ნაწილში, კერძოდ, შპს „შარმ ტრეიდინგის“ ბრუნვა 2022 წელს შეადგენდა [redacted] ლარს, ხოლო ფ/პ იოსებ თათარაშილის წლიური ბრუნვა (რაშიც „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანების მე-4 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად მოიაზრება როგორც კონცენტრაციაში მონაწილე პირის, ასევე მის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოებისა და იმ საწარმოების ჯამური წლიური ბრუნვები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.) ამასთან, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უცხოური კომპანიის მონაწილეობით განხორციელებული კონცენტრაციის მონაწილეთა ჯამური წლიური ბრუნვის გამოთვლისას გაითვალისწინება ამ კომპანიის მიერ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული წლიური ბრუნვა) – [redacted] ლარს (შპს „სუფთა სახლი“).[6] ამდენად, კონცენტრაციის მონაწილე ორივე სუბიექტის ბრუნვა აჭარბებდა ხსენებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარს.

შესაბამისად, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 11 დეკემბრის ბრძანებებით შპს „შარმ ტრეიდინგისა“ (ს/ნ 211397004) და ფ/პ იოსებ თათარაშვილის (პ/ნ [redacted]) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნება მიჩნეულ იქნა სააგენტოსთვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების სააგენტოში წარუდგენლობის გარეშე კონცენტრაციის განხორციელებად. შპს „შარმ ტრეიდინგს“ დაეკისრა ჯარიმა [redacted] ლარის ოდენობით, ხოლო ფ/პ იოსებ თათარაშვილისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა [redacted]. გარდა ამისა, მხარეებს დაევალათ 21 კალენდარული დღის ვადაში განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოში წარმოდეგნა.

---

[4] „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11^2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში შესაბამის ეკონომიკურ აგენტს სააგენტოსთვის კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენის ვალდებულება არ დაეკისრება, თუ კონცენტრაცია ურთიერთდამოკიდებულ პირებს ეხება.

[5] სააგენტოს 2023 წლის 11 დეკემბრის ბრძანებები რეგ N 04/925 და N 04/926.

[6] მედეა სვანიშვილის 2023 წლის 06 ნოემბრის წერილი - რეგ N 01/3770 – 06 ნოემბერი.

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 14 დეკემბრის N01/4280 წერილით შემოვიდა შეტყობინება შპს „შარმ ტრეიდინგსა“ (ს/ნ 211397004) და ფ/პ იოსებ თათარაშვილს (პ/ნ [redacted]) შორის განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე.

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი წლიური ბრუნვები 2022 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

<u>შეტყობინებას თან ახლდა დანართები:</u>

- შპს „შარმ ტრეიდინგთან“ დაკავშირებული პირებისა და მათი მონაცემების ამსახველი სქემა;
- იოსებ თათარაშვილთან დაკავშირებული პირებისა და მათი მონაცემების ამსახველი სქემა;
- შპს „შარმ ტრეიდინგის“ მიერ მედეა სვანიშვილის სახელზე გაცემული მინდობილობა;
- იოსებ თათარაშვილის მიერ მედეა სვანიშვილის სახელზე გაცემული მინდობილობა;
- კონცენტრაციის მხარეებისა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების უკანასკნელი ფინანსური წლის ძირითადი მომწოდებლების მონაცემების ამსახველი სქემა;
- შპს „შარმ ტრეიდინგის“ მიერ უკანასკნელი ფინანსური წლის განმავლობაში წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული ძირითადი საქონლის/მომსახურების ასორტიმენტის ამსახველი მონაცემები.

<u>ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:</u>

- შპს „შარმ ტრეიდინგის“ (ს/ნ 211397004) 34% წილის მფლობელია ფ/პ ზაზა ნიშნიანიძე (პ/ნ [redacted]);
- შპს „შარმ ტრეიდინგის“ (ს/ნ 211397004) 10% წილის მფლობელია ფ/პ ვახტანგ საძაგლიშვილი (პ/ნ [redacted]);
- შპს „შარმ ტრეიდინგის“ (ს/ნ 211397004) 10% წილის მფლობელია ფ/პ სოლომონ მამუჩიშვილი (პ/ნ [redacted]);
- შპს „შარმ ტრეიდინგის“ (ს/ნ 211397004) 16% წილის მფლობელია ფ/პ გიორგი ჩივაძე (პ/ნ [redacted]);
- შპს „შარმ ტრეიდინგის“ (ს/ნ 211397004) 30% წილის მფლობელია შპს „ბი ეფ ო“ (ს/ნ 400236188).

<u>მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები:</u>

- შპს „ბი ეფ ოს“ (ს/ნ 400236188) 100% წილის მფლობელია ფ/პ ლევან კაკაბაძე (პ/ნ [redacted]);
- შპს „ძველი მეიდანის“ (ს/ნ 404469197) 49% წილის მფლობელია შპს „ბი ეფ ო“ (ს/ნ 400236188);
- შპს „ანტეა ინნოს“ (ს/ნ 205270133) 20%-იანი წილის მფლობელია შპს „ბი ეფ ო“ (ს/ნ 400236188);

- შპს „მეიდანზეს“ (ს/ნ 404541484) 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ზაზა ნიშნიანიძე (პ/ნ [redacted]);
- შპს „ელ არ ჯის“ (ს/ნ 405636165) 34% წილის მფლობელია ფ/პ ზაზა ნიშნიანიძე (პ/ნ [redacted]), 10% წილის მფლობელია ფ/პ ვახტანგ საძაგლიშვილი (პ/ნ [redacted]), 10% წილის მფლობელია ფ/პ სოლომონ მამუჩიშვილი (პ/ნ [redacted]), 16% წილის მფლობელია ფ/პ გიორგი ჩივაძე (პ/ნ [redacted]), 30% წილის მფლობელია შპს „ბი ეფ ო“ (ს/ნ 400236188);
- შპს „ბი ემ სი შარმის“ (ს/ნ 400031327) 80%-იანი წილის მფლობელია შპს „ელ არ ჯი“ (ს/ნ 405636165);
- შპს „შპს ქუთაისი ვეარჰაუსის“ (ს/ნ 404590581) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ელ არ ჯი“ (ს/ნ 405636165);
- შპს „შპს სმართ ვეარჰაუსის“ (ს/ნ 405131085) 88 %-იანი წილის მფლობელია შპს „ელ არ ჯი“ (ს/ნ 405636165);
- შპს „აუთლეთ სერვისის“ (ს/ნ 401976590) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „შარმ ტრეიდინგი“ (ს/ნ 211397004);
- შპს „შაბას“ (ს/ნ 406104549) 50%-იანი წილის მფლობელია შპს „აუთლეთ სერვისი“ (ს/ნ 401976590);
- შპს „გლობალ ტრეიდის“ (ს/ნ 400031309) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „შარმ ტრეიდინგი“ (ს/ნ 211397004);
- შპს „იალონის“(ს/ნ 205135780) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „შარმ ტრეიდინგი“ (ს/ნ 211397004);
- შპს „ეიჩ სი ის“ (ს/ნ 400323510) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „შარმ ტრეიდინგი“ (ს/ნ 211397004);
- შპს „იუ ეს ჯის“ (ს/ნ 400323501) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „შარმ ტრეიდინგი“ (ს/ნ 211397004);
- ფ/პ იოსებ თათარაშვილი (პირადი N [redacted]) CHG & CO LTD-ის (რეგისტრაციის N 351907; კვიპროსი) 100%-იანი წილის მფლობელია; თავის მხრივ CHG & CO LTD (რეგისტრაციის N 351907; კვიპროსი) 100%-იან წილს ფლობს GRG Traiding-ში (ს/ნ 1906045; ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.)), რომელიც შპს „სუფთა სახლის“ (ს/ნ 202458893) 96 %-იანი წილის მფლობელია;
- CHG & CO LTD (რეგისტრაციის N 351907; კვიპროსი) ასევე 50%-იან წილს ფლობს შპს „ქუგო ინვესტმენტ ლიმიტედში“ (ს/ნ HE354672; კვიპროსი), რომელსაც გააჩნია შპს „ჯი დი სი სის“ (ს/ნ 406175936) 95%-იანი წილი;
- შეტყობინებაში ასევე მითითებულია, რომ სს „ლილო 1“-ის (ს/ნ 206268741) 50%-ის მფლობელია შპს „ელ არ ჯი“ (ს/ნ 405636165);
- მხარეთა განცხადებით, სს „ლელოს“ (ს/ნ 200002745) 49.997 %-ის მფლობელია შპს „ელ არ ჯი“ (ს/ნ 405636165).

როგორც შეტყობინებაშია აღნიშნული, წინამდებარე კომპანიები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ შემდეგ ბაზრებზე:

სადისტრიბუციო სფერო: შპს „შარმ ტრეიდინგი“ (ს/ნ 211397004); შპს „შაბა“ (ს/ნ 406104549); შპს „ჯი დი სი სი“ (ს/ნ 406175936).

საცალო ვაჭრობის სფერო: შპს „სუფთა სახლი“ (ს/ნ 202458893).

შეტყობინებაში მითითებულია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში მხოლოდ შპს „აუთლეტ სერვისმა“ (ს/ნ 401976590) შეიძინა შპს „შაბას“ (ს/ნ 406104549) 50%-იანი წილი.

კონცენტრაციის ფორმა:

განხორციელებული კონცენტრაციის ფორმა არის ერთობლივი საწარმოს დაფუძნება, სადაც შპს „შარმ ტრეიდინგის“ წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა 86.67 %-ით, ხოლო ფ/პ იოსებ თათარაშვილისა - 13.33 %-ით.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განცხადებით, კონცენტრაციის მიზანს წარმოადგენს ბიზნესის გაფართოება, ასორტიმენტის სრულყოფა, მომდევნო წლის ბრუნვების [redacted] %-ით გაზრდა, გამსხვილების შედეგად ხარჯების შემცირება, ასევე საბოლოო მომხმარებლისათვის პროდუქციის ხარისხისა და ფასის კუთხით ოპტიმალური ვარიანტის შეთავაზება.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც, კერძოდ, კონცენტრაციისთვის სავარაუდო შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულია FMCG პროდუქტების ბაზარი, გეოგრაფიულ ბაზრად განსაზღვრულია საქართველო, ხოლო დროით ჩარჩოდ მითითებულია - მუდმივი.

კონცენტრაციის მონაწილე მხარეების აზრით, კონცენტრაციის შედეგად შესაძლებელი იქნება მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი პროდუქციის ოპტიმალურ ფასად შეთავაზება. ამასთან, კონცენტრაციას ბაზარზე უარყოფითი გავლენა ვერ ექნება.

შეტყობინებაში ასევე მოცემულია სამი საკითხი, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

- გამსხვილების ხარჯზე უცხოელი მომწოდებლებისგან შესაძენ/იმპორტირებულ საქონელზე უკეთესი ფასის მიღების შესაძლებლობა;
- საცალო ქსელში ზემარჟების გამორიცხვა, რაც სხვა ქსელურ თუ არაქსელურ მაღაზიებსაც უბიძგებს მარჟების შემცირებისკენ;
- გამსხვილების ხარჯზე ერთი კომპანიის ჭრილში მრავალფეროვანი პორტფელის არსებობა, რაც შესაძლებელს გახდის საბოლოო მომხმარებლისათვის ხარისხიანი საქონლის ბიუჯეტურ ფასში შეთავაზებას;
- ქვეყნის მასშტაბით გართულებული საგზაო მოძრაობის პირობებში, სადისტრიბუციო მანქანების ოპტიმიზაცია და დაწესებული დროითი შეზღუდვების პირობებში მრავალფეროვანი პროდუქციის მიწოდება ერთი სადისტრიბუციო მანქანით, რაც დადებითად აისახება როგორც ქალაქის საგზაო გამტარუნარიანობაზე, ისე გარემოს დაცვაზე საწვავის მოხმარებისა და გამონაბოლქვის შემცირების გზით.

მხარეები მათი წარმომადგენლის მეშვეობით ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს.

კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;
5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა წლიური ბრუნვის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ჯამური წლიური ბრუნვა: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.
6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით - ერთობლივი საწარმოს შექმნის შემთხვევაში შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება ოპერაციის ყველა მონაწილეს, ერთობლივი შეტყობინების წარდგენის გზი;
7. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
8. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;

9. კანონის 11[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
10. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11[1] მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
11. კანონის 11[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს;
14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

ერთობლივი საწარმოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას, სააგენტოში წარმოდგენილი შეტყობინების თანახმად, წარმოადგენს სწრაფი მოხმარების პროდუქტების („FMCG") ბაზარი.

თავის მხრივ, FMCG ბაზარს გააჩნია 4 ძირითადი კატეგორია: 1) საკვები და სასმელი პროდუქტები; 2) თავის მოვლის პროდუქტები; 3) ჯანმრთელობასა და ჰიგიენაზე ზრუნვის პროდუქტები; 4) სახლის მოვლის საშუალებები.

იმის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაციაში მონაწილე მხარეები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები წარმოდგენილნი არიან ზემოაღნიშნულ ოთხივე კატეგორიაში როგორც პროდუქციის იმპორტის, ასევე საბითუმო დისტრიბუციისა და საცალო რეალიზაციის მხრივ, სააგენტომ საჭიროდ ჩათვალა ბაზარზე კონცენტრაციის დონე შეესწავლა ამ მიმართულებებით. კერძოდ კი კონცენტრაციის დონის განსაზღვრის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება კონცენტრაციის მხარეთა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების პროდუქციის ასორტიმენტი.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მხარეთა განცხადებით ეკონომიკური საქმიანობა განხორციელდება ქვეყნის მთელი ტერიტორიის მასშტაბით.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილის გამოთვლა:

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

გამომდინარე იქიდან, რომ ფ/პ იოსებ თათარაშვილს აქვს კონტროლი შპს „სუფთა სახლზე" და ამავდროულად, შპს „შარმ ტრეიდინგი" წარმოადგენს შპს „სუფთა სახლის" ერთ-ერთ მიმწოდებელ ეკონომიკურ აგენტს, განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შეფასების მიზნით, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს შეფასდეს კონცენტრაციის ვერტიკალური ეფექტი.

კონცენტრაციის ვერტიკალური ეფექტის შესაფასების მიზნით, შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსისა და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის გამოთვლისთვის, სააგენტომ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია იმ საქონლის შესახებ, რომელსაც შპს „შარმ ტრეიდინგი" აწვდის შპს „სუფთა სახლს", კერძოდ: ბავშვის საფენი, დედის რძის შმეცვლელი ფორმულა (ბავშვის საკვები), პირის ღრუს მოვლა

(ჯაგრისები, კბილის პასტები, გამოსავლები სითხეები და ა.შ), სარეცხი საშუალებები, ჭურჭლის სარეცხი საშუალებები, ქალის ჰიგიენური საფენი, ურولოგიური საფენი, მწერებისგან დაცვის საშუალებები, სახის და თავის მოვლის საშუალებები, ანტიპერსპერანტი, თხევადი და მყარი საპონი, მშრალი და სველი ხელსახოცი, ტუალეტის ქაღალდი, პირადი ჰიგიენა, სამზარეულოს მოვლა, ნათურა, ყავა და ჩაი, ნაგვის პარკები, ჰიგიენური ხელთათმანები, ტანის მოვლის საშუალებები (შამპუნი, კრემი და ა.შ) საპირფარეშოს არომატიზატორები, ბამბის კოსმეტიკური ბალიშები და ბამბის ჰიგიენური ჩხირები.[7]

სააგენტომ ასევე გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან საქართველოში 2022 წლის განმავლობაში მოქმედი იმ ეკონომიკური აგენტების შესახებ, რომლებიც ეწევიან ზემოაღნიშნული საქონლით საბითუმო და საცალო ვაჭრობას. ეკონომიკური აგენტების 2022 წლის ბრუნვის იდენტიფიცირება მოხდა შემოსავლების სამსახურის „გადასახადების ადმინისტრირების სისტემის“ მეშვეობით.

საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციზე დაყრდნობით,[8] შერჩეული სასაქონლო პოზიციების იმპორტის მოცულობა შეადგენს 1 204 837 208 ლარს, მათ შორის შპს „შარმ ტრეიდინგის“ იმპორტის მოცულობა შეადგენს - [redacted] ლარს (საერთო მოცულობის [redacted] %), ხოლო შპს „სუფთა სახლის“ იმპორტის მოცულობა - [redacted] ლარს (საერთო მოცულობის [redacted] %). ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი HHI=192.9 ერთეულს, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩენებელია. კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი HHI=194.6 და შესაბამისად, კონცენტრაციის ინდექსის ცვლილება ΔHHI=1.70.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით[9] ირკვევა, რომ NACE Rev.2 კლასიფიკატორის მიხედვით, საბითუმო ბაზარზე შპს „შარმ ტრეიდინგის“ ეკონომიკური საქმიანობის კოდია 46.37.0, 46.44.0 და 46.45.0. აღნიშნული საქმიანობების შესაბამის ბაზარზე მოქმედებს 543 ეკონომიკური აგენტი, ბაზრის საერთო მოცულობა შეადგენს [redacted] ლარს. ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი HHI=457,7 ერთეულს, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩენებელია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციიდან[10] ირკვევა, რომ NACE Rev.2 კლასიფიკატორის მიხედვით, საცალო ბაზარზე შპს „სუფთა სახლის“ ეკონომიკური საქმიანობის კოდია 47.59.2, 47.59.3, 47.59.9 და 47.75.0. აღნიშნული საქმიანობების შესაბამის ბაზარზე მოქმედებს 792 ეკონომიკური აგენტი, ბაზრის საერთო მოცულობა შეადგენს [redacted] ლარს. ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი HHI=647.7 ერთეულს, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩენებელია.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაციის მხარეები საქონლის იმპორტისა და საბითუმო ვაჭრობის გარდა, ეწევიან სადისტრიბუციო საქმიანობასაც, სააგენტომ საჭიროდ ჩათვალა,

---

[7] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წერილი N02/1938, 03/08/2023.

[8] საქართველოს შემოსავლების სამსახურის წერილი N21-11/59758, 24/07/2023 (სააგენტოში რეგ. N01/2460, 24 ივლისი 2023 წ.).

[9] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წერილი N5-1882, 28/07/2023, (სააგენტოში რეგ. N01/2460, 28 ივლისი 2023 წ.).

[10] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წერილი N5-1882, 28/07/2023, (სააგენტოში რეგ. N01/2460, 28 ივლისი 2023 წ.).

ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციიდან გამოეთხოვა სათანადო ინფორმაცია.[11] მიღებული ინფორმაციის[12] დამუშავების შედეგად ცხადი გახდა, რომ ასოციაციაში რეგისტრირებულია 70 ეკონომიკური აგენტი, რომელთა 2022 წლის საერთო ბრუნვამ შეადგინა 5 508 465 832 ლარი, მათ შორის, შპს „შარმ ტრეიდინგის“ წილი შეადგენს საერთო მოცულობის [redacted] %-ს. ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი HHI=479.5 ერთეულს, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩენებელია.

IV. კონკურენციის ეროვნული სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „შარმ ტრეიდინგისა“ (ს/ნ 211397004) და ფ/პ იოსებ თათარაშვილის (პ/ნ [redacted]) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განხორციელებული კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

[11] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წერილი N02/2112, 04/08/2023.

[12] ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის წერილი (სააგენტოში რეგ. N01/2116, 7 აგვისტო, 2023 წ.)